საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/72 "16" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის პ. ქათამაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე პაატა ქათამაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2020 წლის 18 ივნისს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 4 ივნისის №01/20/31 წერილით მოთხოვნილია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელოს მოსამართლე პაატა ქათამაძისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. დღეისათვის სამოქალაქო საქმეთა პალატაში უფლებამოსილებას ახორციელებს 11 მოსამართლე. მოსამართლე პაატა ქათამაძეს წარმოებაში აქვს 264 საქმე, რომელთა გადანაწილება პალატის შემადგენლობაში მყოფ სხვა მოსამართლეებზე მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე პ. ქათამაძე მონაწილეობას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის მიმდინარე პროცედურაში, რომლის ფარგლებშიც პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენა განხორციელდება უახლოეს პერიოდში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში პ. ქათამაძეს ექნება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე პაატა ქათამაძეს 2020 წლის 18 ივნისიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე ან შესაბამის ვაკანტურ ადგილზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 2021 წლის 1 იანვრისა.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი